ინფორმაცია კვლევების შესახებ

2011 წლის ოქტომბერი 3 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს 8 რაიონულ და საქალაქო სასამართლოში ჩატარდა სამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა, სულ გამოიკითხა 2772 რესპოდენტი.

2011 წლის მაისი. 2 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში მომხმარებელთა კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოში მისული მოქალაქეების დიდი ნაწილი სისტემის მიმართ მაღალ ნდობას აფიქსირებს. სულ გამოიკითხა 3787 რესპოდენტი. კითხვები ძირითადად, სასამართლოში არსებულ გარემოს, თანამშრომელთა დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობას შეეხებოდა. კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

2011 წლის თებერვალი. სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა სასამართლოს სტაჟიორების დახმარებით ჩატარდა თბილისის, ქუთაისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. სულ გამოიკითხა 1900 სასამართლოს მომხმარებელი. სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს გამოკითხულთა 68 პროცენტი.

2010 წლის დეკემბერი-2011 წლის იანვარი.
სამმა სასამართლომ (ხელვაჩაურის და ოზურგეთის რაიონული სასამართლოები, ბათუმის საქალაქო სასამართლო) ჩაატარა სასამართლოს მომხმარებლების გამოკითხვა. ყველა პარამეტრის მიხედვით, აღნიშნულ სასამართლოებში მდგომარეობა დადებითად შეფასდა, რაც საბოლოო ჯამში, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა. ოზურგეთის და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში გამოკითხულთა 66 პროცენტი ენდობა სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ კი ნდობა გამოკითხულთა 67 პროცენტმა დააფიქსირა.

2010 წელი. აგვისტო. სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა. განახორციელა სოციალურმა კვლევითმა კომპანია IPM, დამკვეთი USAID. კვლევა ჩატარდა საქართველოს 6 დიდ სასამართლოში. სულ გამოიკითხა 2000 სასამართლოს მომხმარებელი. გამოკითხულთა 63 %-ს სასამართლო მიაჩნია სანდოდ. 61%-ს სასამართლო მიაჩნია მიუკერძოებლად. 71% კმაყოფილია სასამართლოს მომსახურებით.

2010 წელი. მაისი. სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა. განხორციელდა სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის (DFK) და უზენაესი სასამართლოს ერთობლივი მონაწილეობით. სულ გამოიკითხა 3900 სასამართლოს მომხმარებელი. კვლევა ჩატარდა 7 სასამართლოში. გამოკითხული რესპოდენტების 53 % სრულად ენდობა სასამართლოს, ხოლო 24 %

ნაწილობრივ ენდობა სასამართლოს. ერთიანობაში 77 % ენდობა სასამართლოს.

2009 წლის დეკემბერი. საბაზისო ცოდნისა და აღქმის კვლევა საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ. კვლევა მომზადებულია სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიერ, გაეროს განვითარების პროექტის (UNDP) დაკვეთით. კვლევა ჩატარდა 2009 წლის დეკემბერში საქართველოს ხუთ დიდ ქალაქში. სულ გამოიკითხა 2800 რესპოდენტი, რომლებიც შეირჩნენ „შემთხვევითი შერჩევის მეთოდით". კითხვაზე ენდობით თუ არა სასამართლოს, დადებითი პასუხი დააფიქსირა გამოკითხულთა 62 %-მა.

2008 წლის ივლისი-ნოემბერი. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად 2008 წლის ივლისსა და ნოემბერში. კვლევა განახორციელა საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტმა. ივლისში გამოიკითხა 1751 რესპოდენტი, ხოლო ნოემბერში – 2527. გამოკითხული რესპოდენტებიდან 38,5% ესწრებოდა სასამართლო სხდომებს, მაშინ როდესაც 61,5% არასდროს ყოფილა სასამართლოში. კვლევა ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში. სასამართლოსადმი ნდობის ხარისხი შემდეგი იყო – გამოკითხული რესპოდენტიდან 57%-მა განაცხადა, რომ სასამართლოს ენდობიან სრულად ან ნაწილობრივ.

2008 წელი ოქტომბერი. კვლევის მთავარი მიზანი იყო დადგენილიყო, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია სასამართლოს საქმიანობა მოქალაქეებისათვის. ამისათვის შეირჩა 6 გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო. კვლევა მიმდინარეობდა სასამართლოს შენობიდან გამოსულ ინდივიდებთან პირდაპირი ინტერვიუს სახით. კვლევაში მონაწილე პირები წარმოადგენდნენ პროცესებში მონაწილე მხარეებს (ადვოკატები, მხარეები, დაზარალებულები, მოწმეები). კითხვარში არსებული ერთ-ერთი შეკითხვა შეეხებოდა სასამართლოსადმი ნდობის ხარისხს. საინტერესო აღმოჩნდა, რომ მონაწილეების 77,7%-თვის სასამართლოსადმი ნდობა განპირობებული იყო საქმის მოგება/წაგებით და არა ზოგადად სასამართლო სისტემის ობიექტურობით. მიუხედავად ამისა, საბოლოო შედეგების მიხედვით, მონაწილეთა 54,5%-მა გამოხატა თავისი კმაყოფილება სასამართლო სისტემის მუშაობისადმი.

2007 წელი. გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ჩატარდა კვლევა, რომელიც ასახავდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ მოსახლეობის ინფორმირებულობას და დამოკიდებულებას.